საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს რევაზ ნადარაია?
(დიახ) არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **<u>რევაზ ნადარაიას</u>** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

17 ივნისი, 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის **<u>რევაზ ნადარაიას</u>** კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის რევაზ ნადარაიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - რევაზ ნადარაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 92 ქულით (92%) <u>(იხ. ქეთევან ცინცაძის - 2021 წლის 28 მაისის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის რევაზ ნადარაიას შესახებ).</u>

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (შეფასების პროცედურაში მონაწილე წევრები) კანდიდატი - რევაზ ნადარაია კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით მიიჩნიეს სრულად კეთილსინდისიერად (შეფასებაში მონაწილე ყველა საბჭოს წევრი), ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კომპეტენტურად, რასაც მოწმობს მის მიერ მიღებული მაღალი შეფასებები (საერთო ჯამში, მაქსიმალური შეფასების - 92.75%).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ **<u>კანდიდატი - რევაზ ნადარაია</u>** სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე